

<http://e-chef.ge> -ს Cookie - ს ფაილებისა და თრექინგის პოლიტიკა

ჩვენ, e-chef.ge -ს ადმინისტრაცია პატივს ვცემთ თქვენს კონფიდენციალურობას და ვალდებულნი ვართ დავიცვათ თქვენი უფლება პერსონალური მონაცემების კანონიერი დამუშავებისა და დაცვის კუთხით. ჩვენი Cookie - ს ფაილების და თრექინგის პოლიტიკა გთავაზობთ მკაფიო განმარტებას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება Cookie - ს ფაილები და სხვა თრექინგ ტექნოლოგიები ჩვენს ვებ-გვერდებზე, პროდუქტებსა და მომსახურებაში.

ჩვენ ვიყენებთ Cookie ფაილებს ან ანალოგიურ ტექნოლოგიებს ტენდენციების ანალიზის, ვებ-გვერდის ადმინისტრირების, ვებ-გვერდზე მომხმარებელთა ტრაფიკის მონიტორინგის და ზოგადად ჩვენი მომხმარებლის შესახებ დემოგრაფიული ინფორმაციის მიღების მიზნით.

რა არის COOKIE ფაილები

Cookie არის პატარა ფაილი, რომელიც გადმოიწერება და ინახება თქვენს მოწყობილობაზე, როდესაც თქვენ სტუმრობთ რომელიმე ვებგვერდს. მასში მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული ვიზიტორის და ვებ-გვერდის შესახებ. Cookie ფაილები გამოიყენება ბევრ ვებგვერდზე და შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი რიგი მიზნებისათვის, მაგალითად, თქვენი პრეფერენციების დასამახსოვრებლად, ონლაინ შოფინგის განსახორციელებლად და ვებგვერდის სტატისტიკის საწარმოებლად.

როგორ ვიყენებთ COOKIE ფაილებს

ჩვენ და ჩვენი პარტნიორები ვიყენებთ Cookie ფაილებს ან ანალოგიურ ტექნოლოგიებს ტენდენციების ანალიზისათვის, ვებგვერდის ადმინისტრირებისათვის, ვებ-გვერდზე მომხმარებელთა ტრაფიკის კონტროლისა და ზოგადად მომხმარებელთა შესახებ დემოგრაფიული ინფორმაციის შეგროვების მიზნით. Cookie ფაილები არის ვებ-ბრაუზერისთვის ვებ-გვერდის მიერ გაგზავნილი ინფორმაცია. ბრაუზერი აღნიშნულ ინფორმაციას ინახავს თქვენს მოწყობილობაში. Cookie ფაილები საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მოახდინონ ნავიგაცია ვებგვერდზე და (სადაც შესაძლებელია) საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ვებგვერდის თუ მისი კონტენტის პერსონალიზება მომხმარებლის საჭიროებების მიხედვით და გავაუმჯობესოთ მომხმარებლების ქმედებების

შედეგები. თუ Cookie ფაილების ფუნქცია არ არის გააქტიურებული, ჩვენ ვერ შევძლებთ უზრუნველყოთ ვებ-გვერდის სათანადო ფორმით ფუნქციონირება და ოპერირება.

ჩვენს მიერ გამოყენებული Cookies ფაილები, არ ინახავს მონაცემებს, რითიც შესაძლებელია თქვენი პირდაპირი ფორმით იდენტიფიცირება.

მოგროვებული მონაცემები არ გადაეცემა მესამე პირებს, გარდა ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკით განსაზღვრული შემთხვევებისა. ასევე არ ხდება პერსონალური მონაცემების გაზიარება, რამაც შესაძლოა მოახდინოს თქვენი იდენტიფიცირება. ჩვენ ვიყენებთ cookie ფაილებს ჩვენს ვებგვერდებზე შემდეგი სახით:

- ✓ ჩვენ ვიყენებთ cookie ფაილებს ჩვენი მომხმარებლების დაცვისა და თაღლითური ქმედებების პრევენციის მიზნით.
- ✓ ჩვენ ვიყენებთ cookie ფაილებს ჩვენს ონლაინ განაცხადის ფორმაში. თუ cookie ფაილების ფუნქცია არ არის გააქტიურებული, კომპიუტერის მომხმარებელი ვერ შეძლებს ავტორიზაციის გავლას და / ან ჩვენი მომსახურებით სარგებლობას.
- ✓ ჩვენ ასევე ვიყენებთ cookies ფაილებს იმ მიზნით, რომ დავადგინოთ, თუ როგორ ხვდებიან მომხმარებლები ჩვენს ვებგვერდზე და როგორ იყენებენ ჩვენს ვებგვერდს - ის გვეხმარება გავუმჯობესოთ თქვენთვის გაწეული მომსახურების ხარისხი. მაგალითად, ჩვენ ვიყენებთ Google Analytics - Google- ის მიერ უზრუნველყოფილი პოპულარული ვებ-პროგრამების ანალიზის საშუალება. Google Analytics იყენებს cookie ფაილებს, რითიც აანალიზებს იმას, თუ როგორ იყენებენ მომხმარებლები ჩვენს ვებგვერდებს. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად Cookie ფაილების გამოყენების შესახებ, გაეცანით Google- ის კონფიდენციალურობის პოლიტიკას
- ✓ ჩვენ ვიყენებთ cookie ფაილებს ვებსაიტის მონაცემთა ნაკადის მონიტორინგისა და მართვის მიზნით.
- ✓ ჩვენ ასევე ვიყენებთ cookie ფაილებს ჩვენს სარეკლამო კამპანიებსა აქციებში და მიღწეული წარმატების შესაფასებლად. ის გვეხმარება ვებგვერდის დიზაინისა და სტრუქტურის გაუმჯობესებაში და მთელი რიგი შეთავაზებებისა და წახალისების უზრუნველყოფაში.

ჩვენს ვებგვერდზე ვიყენებთ ორი სახის cookie ფაილებს:

1. სესიის Cookie ფაილები. ეს არის დროებითი Cookie ფაილები, რომლებიც აქტიურია მხოლოდ იმ დროს, როდესაც მომხმარებლები სარგებლობენ ვებ-გვერდით (ან, უფრო ზუსტად, ვიდრე მომხმარებელი დატოვებს ვებგვერდს და დახურავს ბრაუზერს). სესიის Cookie ფაილები ეხმარება ჩვენს ვებ-გვერდს დაიმახსოვროს ვიზიტორის მიერ წინა გვერდზე განხორციელებული ნაბიჯები, და ამით იცილებს თავიდან ინფორმაციის განმეორებით შეყვანის საჭიროებას.
2. მუდმივი cookie ფაილები. მუდმივი cookie ფაილები რჩება ვიზიტორის კომპიუტერზე ჩვენს ვებგვერდზე სტუმრობის შემდეგ. მუდმივი cookie ფაილები გვეხმარება მოვახდინოთ თქვენი, როგორც უნიკალური ვიზიტორის იდენტიფიცირება (ეს ინფორმაცია ინახება შემთხვევით გენერირებული ნომრით). რამდენ ხანს დარჩება cookie ფაილები მომხმარებლის კომპიუტერში დამოკიდებულია cookie ფაილის ტიპზე.

თანხმობა cookie ფაილების გამოყენების შესახებ.

ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენების დაწყებამდე, ჩვენ უნდა მივიღოთ თქვენგან თანხმობა cookies ფაილების გამოყენების შესახებ.

თუ არ დაეთანხმებით "cookie" ფაილების გამოყენებას, თუმცა კვლავაც გააგრძელებთ ვებგვერდის გამოყენებას, ეს ჩაითვლება თქვენს თანხმობად "cookie" ფაილების გამოყენებასთან დაკავშირებით.

cookie ფაილების კონტროლი და წაშლა

ჩვენ არ ვიყენებთ "cookie" ფაილებს მომხმარებლების შესახებ პირადი ინფორმაციის შეგროვების მიზნით. თუმცა, გარკვეული დამუშავებული ინფორმაცია შეიძლება იყოს პირადი მონაცემები.

თუ გსურთ შეზღუდოთ "cookie" ფაილები ან დაბლოკოთ ისინი ჩვენს ვებგვერდზე ან სხვა ვებგვერდებზე, ამის განხორციელება შეგიძლიათ თქვენი ბრაუზერის პარამეტრების შეცვლით. მაგალითად, შეგიძლიათ დაბლოკოთ ყველა "cookie" ფაილი, მიიღოთ მხოლოდ ერთი მხარის "cookie" ფაილები, ან წაშალოთ ყველა "cookie" ფაილი თქვენს ბრაუზერში. ამ შესაძლებლობის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით ბრაუზერის ფუნქციას "დახმარება". თქვენი მობილური მოწყობილობის ბრაუზერიდან "cookie" ფაილების წაშლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ მოწყობილობების მომხმარებლის სახელმძღვანელო.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი სერვისი არ იფუნქციონირებს თუ დაბლოკავთ ან წაშლით "cookie" ფაილებს.

თრექინგი (თვალყურის დევნება)

სხვა ვებ-გვერდების მსგავსად, ჩვენც ავტომატურად ავტომატურად ვაგროვებთ ინფორმაციას ზოგადი ტენდენციების შესახებ ჩვენი ვებგვერდების, პროდუქციისა და მომსახურების ადმინისტრირების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვახორციელებთ იმ ვებ-გვერდების თრექინგს (თვალყურის დევნება), რომლებსაც ჩვენი მომხმარებლები ეცნობიან კონკრეტული ვებგვერდის ფარგლებში, ჩვენ არ ვახდენთ პერსონალური ინფორმაციის შეგროვებას თქვენს ონლაინ საქმიანობასთან დაკავშირებით და მესამე მხარის ვებგვერდებზე ან ონლაინ სერვისებზე.

შესაბამისად, ჩვენ არ ვამუშავებთ ან არ ვემორჩილებით ნებისმიერ ვებ ბრაუზერის სიგნალს "არ მოახდინოთ თრექინგი" ან სხვა მექანიზმებს, რომლებიც მომხმარებელს საშუალებას აძლევენ აირჩიონ სურთ თუ არა გამოიყენონ შესაძლებლობა მოგროვდეს ინფორმაცია თქვენი ონლაინ საქმიანობის შესახებ და მესამე მხარის ვებგვერდებზე, როდესაც თქვენ იყენებთ ჩვენს ვებგვერდს. გარდა ამისა, ჩვენ წინასწარ განზრახვით არ მიგვიცია უფლება მესამე მხარისათვის მოაგვროვონ პერსონალური ინფორმაცია თქვენი ონლაინ საქმიანობის და სხვადასხვა ვებგვერდების შესახებ, როდესაც იყენებთ ჩვენს საიტებს.

ჩვენ ვთანამშრომლობთ მესამე მხარესთან ჩვენს ვებსაიტზე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით ან სხვა საიტებზე რეკლამის მართვის მიზნით. ჩვენს მესამე მხარის პარტნიორს შეუძლია გამოიყენოს "cookie" ფაილები ან მსგავსი ტექნოლოგიები, რათა მოგაწოდოთ რეკლამა თქვენს ბრაუზერში განხორციელებულ საქმიანობაზე და ინტერესებზე დაყრდნობით. თუ თქვენ გსურთ მიიღოთ თქვენს ინტერესებზე დაფუძნებული რეკლამა, დააწკაპუნეთ აქ, ან თუ ბინადრობთ ევროკავშირში დააწკაპუნეთ აქ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენ ასევე მიიღებთ გენერიულ რეკლამებს (მაგ. რეკლამა, რომელიც არ არის მორგებული თქვენს ინტერესებსა და ქცევებზე).

ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია შევცვალოთ წინამდებარე "cookie" ფაილების და თრექინგის პოლიტიკა და მივუთითოთ "cookie" ფაილებისა და თრექინგის პოლიტიკის ცვლილების თარიღი.

თუ განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, ჩვენ გამოვყოფთ ამგვარ ცვლილებებს და შევეცდებით პირდაპირ გაგაფრთხილოთ შეძლებისდაგვარად. არქივში ასევე შევინახავთ "cookie" ფაილებისა და თრექინგის პოლიტიკის წინა ვერსიებს. ეს არის ჩვენი გლობალური "cookie" ფაილებისა და თრექინგის პოლიტიკის პირველი ვერსია. (<http://e-chef.ge> განახლებულია 27.11.2021)